



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 ივნისი, 2022 წელი

21 ივნისი

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ევროპისმცოდნეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (N97, 17.10.2011)

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მირიანაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ცაგარელი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იოსებ ბერიკაშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა კობახიძე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მაჭავარიანი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 17 ოქტომბრის N97 გადაწყვეტილების საფუძველზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, იგი მოაზრებულია, როგორც ღრმა და სისტემური ცოდნის მიმცემი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, განვითარების ტენდენციებს ევროპული ინტეგრაციის სფეროში.

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, ინტერდისციპლინური ცოდნის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს საჭირო ცოდნასა და კომპეტენციებს დარგში წარმატებული საქმიანობისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის.

რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმის სტრუქტურა და შემადგენელი ელემენტები ლოგიკურად არის აგებული და მიმართულია შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარებისკენ. იგი დარგს იაზრებს ერთიან კონტექსტში თეორიული ცოდნის მიწოდება-მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სინთეზის გზით. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იძენს ევროპული ინტეგრაციის ძირითადი სფეროების ღრმა და სისტემურ ინტერდისციპლინურ ცოდნას და პროფესიონალური საქმიანობისთვის საჭირო უნარებს, რაც მას საშუალებას მისცემს იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე.

გასაუბრებით, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზის მიხედვით, წარმოდგენილმა პროგრამა განიცადა ცვლილებები, რომლებმაც უზრუნველყო მისი შესაბამისობა დარგის განვითარების თანამედროვე მოცემულობასა და დარგში დანერგილ საუკეთესო პრაქტიკასთან. წარმოდგენილი განხორციელებული ცვლილებების დეტალური აღწერის მიხედვით ირკვევა, რომ პროგრამის ცვლილებების შედეგად დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები რომელიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და სად შეძლებენ დასაქმებას პროგრამის დასრულების შემდგომ; მოდიფიცირებისას გათვალისწინებული იქნა დარგის სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციები და წინადადებები.

ევროკავშირის გამოწვევებისა და მისი განვითარების დინამიკის, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის პოლიტიკისა და სამაგისტრო პროგრამის იმპლემენტაციის პროცესში შექმნილი გამოცდილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მოდიფიცირდა სპეციალიზაციისა და არჩევითი კურსების შინაარსობრივი და ფორმალური მხარე, პროგრამას დაემატა და ამოღებულ იქნა სასწავლო კურსები. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კომპონენტი გახდა კურიკულუმის ნაწილი და სტუდენტებს არჩევითი კრედიტების ფარგლებში შესაძლებლობა აქვთ, სტაჟირება გაიარონ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში ან საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატაში.

ამოღებული სასწავლო კურსების ნაწილი გადავიდა საბაკალავრო პროგრამაზე მოდიფიცირებული სახით ან ინტეგრირდა სხვა სასწავლო კურსებში სილაბუსების შინაარსობრივი ცვლილებების შედეგად.

სამაგისტრო პროგრამაში გაუქმდა მოდულარული სტრუქტურა, 30 კრედიტამდე განისაზღვრა თავისუფალი კრედიტების რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება ექნებათ, აირჩიონ ევროკავშირის Erasmus + სქემის ფარგლებში შემოთავაზებული, ან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ვიზიტორი პარტნიორი ევროკავშირის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის შესაბამისი სასწავლო კურსები, ან/და დარეგისტრირდნენ თსუ-ს სხვადასხვა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კონკრეტულ სემესტრში გახსნილ კურსებზე (ე.წ. cross-listing), სტუდენტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე და ინსტიტუტთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში.

ნიშანდობლივია, რომ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად პროგრამის მოდიფიცირება და განახლება ხდებოდა მისი ხელმძღვანელების, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები მის განვითარებაში ჩართული იყვნენ არა მხოლოდ რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, არამედ სასწავლო პროცესის განმავლობაში. პოტენციური დამსაქმებლებისა და საერთაშორისო ექსპერტის როლი პროგრამის განახლების პროცესის განმავლობაში ასევე ხაზგასასმელია.

პროგრამას ემსახურება 5 აკადემიური (მათ შორის, 2 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი) და 11 მოწვეული პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია რელევანტურია აღნიშნული დარგისთვის.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 2022 წლის 10 ივნისს (თსუ-ს მე-2 კორპუსი, 1-ლი სართული, 133-ე აუდიტორია, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N3).

დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/პირებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია;
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი;
- პროგრამის ხელმძღვანელები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- პროგრამის სტუდენტები;
- პროგრამის კურსდამთავრებულები;
- დამსაქმებლები;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, გარე ექსპერტი;

გარდა ამისა, მოხდა თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც ემსახურება სამაგისტრო პროგრამის ფუნქციონირებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში 09.00-დან 19.00 საათამდე.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასების პროცესმა ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

#### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების კომპონენტების შემდეგი შესაბამისობა:

შესაბამისობაშია შემდეგი კომპონენტები: 1.1; 1.2; 2.1; 2.4; 2.5; 3.1; 3.2; 4.2; 4.3; 4.4; 5.1; 5.2; 5.3.  
მეტწილად შესაბამისობაშია შემდეგი კომპონენტები: 2.2; 2.3; 2.6; 4.1;

- ✓ სტანდარტი 1: შესაბამისობაშია;
- ✓ სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია;
- ✓ სტანდარტი 3: შესაბამისობაშია;
- ✓ სტანდარტი 4: შესაბამისობაშია;
- ✓ სტანდარტი 5: შესაბამისობაშია.

## ▪ რეკომენდაციები

### სტანდარტი 2, კომპონენტი 2.2.

- ✓ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია და მოიცავს ევროპული ინტეგრაციისთვის რელევანტურ სფეროებს, მათ შორის სამართალსა და ეკონომიკაში, რეკომენდირებულია იმ სტუდენტებს, რომელთაც საბაკალავრო საფეხურზე არ მიუღიათ საბაზისო ცოდნა სამართლისა ან/და ეკონომიკის ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, მიეცეთ შესაძლებლობა არჩევით სასწავლო კურსებად გაიარონ სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლები.

### სტანდარტი 2, კომპონენტი 2.3.

- ✓ სასწავლო კურსში „ევროპის კავშირის სამართალი“ მითითებული ერთ-ერთი ლიტერატურა (The ABC of European Union Law, 2017) არ შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს და საჭიროებს ჩანაცვლებას ისეთი ლიტერატურით, რომელიც ადექვატურია სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურთან მიმართებაში.
- ✓ სასწავლო კურსით „ევროპის კავშირის სამართალი“ გათვალისწინებულ სალექციო თემატიკას დაემატოს ევროპის კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან, ევროპის კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხები.
- ✓ არჩევითი სასწავლო კურსების „ევროკავშირის კონკურენციის სამართალი“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი“, „ევროკავშირის საერთაშორისო კერძო სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი და ინვესტიციები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ევროპის კავშირის სამართალი“.
- ✓ იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც საბაკალავრო საფეხურზე არ ჰქონიათ საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებული სასწავლო კურსის გავლის შესაძლებლობა, შეთავაზებული იქნეს სასწავლო კურსი „საერთაშორისო სამართალი“ პირველივე სემესტრში ან ერთი სემესტრით ადრე, ვიდრე ევროპის კავშირის სამართალი.

## სტანდარტი 2, კომპონენტი 2.6.

- ✓ რეკომენდირებულია, რომ სასწავლო კურსებში - „ევროპის კულტურული მოზაიკა“, „ევროპის ისტორია“, „საერთაშორისო და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, „ადამიანის კონცეფცია ევროპულ ლიტერატურაში რენესანსიდან დღემდე“, „მოლაპარაკების უნარები“, „მოსახლეობა და ევროპული განვითარება“, კვლევითი თემის პრეზენტაციისათვის განისაზღვროს შეფასების კომპონენტის აღწერა და გაიწეროს შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.
- ✓ რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში - „საერთაშორისო და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ და „მოლაპარაკების უნარები“ გასწორდეს ხარვეზები შეფასების სისტემაში, კერძოდ, კომპონენტებისადმი მინიჭებული ქულები და რუბრიკები მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში.
- ✓ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამისთვის განისაზღვროს ციტირების აკადემიური გაფორმების სტილი.

## სტანდარტი 4, კომპონენტი 4.1.

- ✓ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა იყოს დაბალანსებული იმგვარად, რომ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა მეტად იყოს დაკავშირებული ევროპისმცოდნეობის პროგრამასთან.
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელები სრულად უნდა იყვნენ ჩართული პროგრამის შეფასება-განვითარების პროცესში და პროგრამის განხორციელების პროცესში მათი როლი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი დარგობრივი მიმართულების ხელმძღვანელობით.

### აღნიშნული რეკომენდაციების აღმოფხვრა შესაძლებელია ერთი წლის შუალედში

#### ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია შემუშავდეს სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგიური ლოგიკა და სასწავლო კურსს კრედიტები მიენიჭოს სირთულის, საკონტაქტო საათების რაოდენობის, განსახორციელებელი აქტივობების გათვალისწინებით.
- ✓ სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა მეტ-ნაკლებად ერთნაირი ხარისხის იყოს (მაგალითად, ყველა მათგანს ჰქონდეს პუბლიკაციები დასავლურ რეფერირებად ჟურნალებში).
- ✓ სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ბირთვული ნაწილი ევროპისმცოდნეობის პროგრამისა და ინსტიტუტის მიზნებისთვის იყოს არჩეული

აკადემიურ თანამდებობებზე და სრული დატვირთვით იყოს ჩართული მის განხორციელებაში.

- ✓ სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ ჩატარებული ტრეინინგებითა და ვორკშოპებით, არამედ ითვალისწინებდეს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო პირობების (მექანიზმების) შექმნასაც.
- ✓ წიგნად ფონდზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ევროპული კვლევების ინსტიტუტთან არსებული საბიბლიოთეკო რესურსები აისახოს საერთო საუნივერსიტეტო კატალოგში.
- ✓ კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი აკადემიური პერსონალი შესაბამისი სამუშაო სივრცით.
- ✓ კონტინგენტისა და სასწავლო კურსების მატების შედეგად არსებული აუდიტორიების სრულად დატვირთვის შემთხვევაში სტუდენტებისთვის საჭირო იქნება სამუშაო სივრცის გამოყოფა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ✓ უცხოელი პერსონალის ჩართულობა სასწავლო პროცესსა და პროგრამის მართვაში.
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაბარი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში.
- ✓ პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად აშკარად იკვეთება ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, რომელიც გააჩნია პროგრამას არა მხოლოდ სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა მობილობის კუთხით, არამედ პროგრამის გარე შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**



## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის მიზნების მიხედვით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას ევროპული ინტეგრაციის სფეროში პროფესიული, კარიერული წინსვლის ან მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. ამავდროულად, პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენციალი აქვს კურსდამთავრებულს ევროპული ინტეგრაციის როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესში, რაც პირდაპირ პასუხობს უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ცალსახად ჩანს, რომ პროგრამა ორიენტირებულია ევროპულ ინტეგრაციაზე სიღრმისეული ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზე. კერძოდ, პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე და დააკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც დარგში წარმატებული საქმიანობის, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების თვალსაზრისით.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სამაგისტრო პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.

შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო დონის პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას. როგორც აღნიშნული დოკუმენტის შესწავლამ აჩვენა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზისათვის

დაწესებულების მიერ შედგენილი კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდს. კვლევის პირველ ეტაპზე შეირჩა საკვლევი ობიექტების სია. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა ანკეტა-კითხვარი. მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვის მეთოდი. გამოკითხვა განხორციელდა დამსაქმებლებთან. განხორციელებულმა კვლევამ პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს ინფორმაცია მისცა შრომის ბაზარზე არსებული კადრის სახეობის, დეფიციტის და მისთვის საჭირო ახალი კადრის მახასიათებლების (უნარები, პროფესიული აქტივობა) მოთხოვნის შესახებ.

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით შესრულებული შრომის ბაზრის ანალიზი მოიაზრებს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებისა და მათ წინაშე პოტენციური დამსაქმებლების მიერ წაყენებული მოთხოვნების კვლევას. გარდა ამისა, როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია.

პროგრამის შემუშავების პროცესში შესწავლილ იქნა საერთაშორისო გამოცდილება, რისთვისაც განხორციელდა უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა და არსებულ პროგრამასთან მისი შედარება.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დოკუმენტი - ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი (უცხოური გამოცდილება);
- პროგრამა/კურიკულუმი;
- თსუ-ს ვებ-გვერდი - <https://tsu.ge>

#### **რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ ცხადყო, რომ პროგრამის სწავლის შედეგად</p>

განსაზღვრა 9 (ცხრა) შედეგი. კერძოდ, პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს აქვს ინტერდისციპლინური განათლება ევროპულ ინტეგრაციაზე, იგი სისტემურად აღწერს ევროპისა და ევროკავშირის ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკის ძირითად მახასიათებლებს, თეორიებს, პრინციპებს, ანალიზებს ევროპის კავშირში არსებულ გამოწვევებს, კრიზისებს და მიმდინარე პროცესებს, მსჯელობს მათი გადაწყვეტის ნორმატიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საფუძვლებზე. კურსდამთავრებულს შეუძლია ევროპის კავშირში მიმდინარე აქტუალური პროცესების მოსაგვარებლად ნორმატიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის დოკუმენტების შესწავლა და შემუშავება, ევროპის კავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის სფეროში აკადემიური სტანდარტების დაცვით კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების, კვლევით ნაშრომების მომზადება სხვა.

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ის ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას.

თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

სწავლის შედეგების მიღწევადობას, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, მონიტორინგს უწევენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის კოორდინატორი და პროგრამის კომიტეტის წევრები. თუ შუალედური მონიტორინგისას გამოიკვეთა სამიზნე ნიშნულებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის მიერ სწავლის შედეგების მიუღწევლობა, ამ შემთხვევაში პროგრამის კომიტეტის მიერ ხორციელდება იმ სავალდებულო სასწავლო კურსთა შინაარსის, სწავლებისა თუ შეფასების მეთოდების/ფორმების დეტალური შესწავლა, სადაც გამოვლინდა ზემოაღნიშნული პრობლემა. კომიტეტი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამის განხორციელების მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროგრამის დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შედეგების გაუმჯობესება ხდება აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლის, პროგრამის კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევისა და მათ მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე. როგორც გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა, კოორდინატორმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა აღნიშნა, სწორედ ურთიერთთანამშრომლობით შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია თსუ-ს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, წინასწარ დადგენილ ვადებში დადგენილი მეთოდოლოგიით. არსებული პრაქტიკის მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევადობას,

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, მონიტორინგს უწევენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის კოორდინატორი და პროგრამის აკადემიური კომიტეტის წევრები. თუ შუალედური მონიტორინგისას (მაგ. აკად. მოსწრების ყოველსემესტრული ანალიზი, გამოკითხვის შედეგები და სხვ.) გამოიკვეთა სამიზნე ნიშნულებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის მიერ სწავლის შედეგების მიუღწევლობა, ამ შემთხვევაში სამაგისტრო პროგრამის კომიტეტის მიერ ხორციელდება იმ სავალდებულო სასწავლო კურსთა შინაარსის, სწავლებისა თუ შეფასების მეთოდების/ფორმების დეტალური შესწავლა, სადაც გამოვლინდა ზემოაღნიშნული პრობლემა. კომიტეტი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველყოფის მიზნით.

როგორც ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტიდან ირკვევა, არსებული პრაქტიკით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. არაპირდაპირი შეფასების მეთოდი მოიაზრებს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვას, კურიკულუმის ანალიზსა და შედარებას ანალოგიურ პროგრამებთან და სხვა. კითხვარების თავმოყრა და ანალიზი ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელების/კოორდინატორის მიერ, რომლებიც ახდენენ რეაგირებას პრობლემურ საკითხებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის შედეგების მიღწევის, ასევე შინაარსობრივი მხარისა და შეფასების მექანიზმების ეფექტურობის შეფასებაში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, მონაწილეობს აკადემიური პერსონალიც პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას და მიღწეული შედეგების ანალიზს.

სამაგისტრო პროგრამა სწავლის შედეგებისთვის ადგენს სამიზნე ნიშნულს სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად. მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შეფასებისთვის შერჩეულ სასწავლო კომპონენტებში გამოყოფილია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის შერჩეული შეფასების კომპონენტები. მასში ასევე განსაზღვრულია რომელ შეფასების კომპონენტ(ებ)ზე განხორციელდება დაკვირვება სწავლის შედეგების შეფასებისათვის შერჩეული თითოეული სასწავლო კომპონენტის ფარგლებში; ასევე პროგრამით განსაზღვრული რომელი სწავლის შედეგები შეფასდება თითოეული შეფასების კომპონენტის საშუალებით. მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პირველ ეტაპზე, მოხდება შედეგების ანალიზი, მათი სამიზნე ნიშნულებთან დადარება და სწავლის შედეგების მიღწევადობის ხარისხის გამორკვევა. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შედეგად გამოვლენილია სუსტად მიღწევადი სწავლის შედეგები, მოხდება პროგრამის და/ან სასწავლო კომპონენტების ცვლილების ინიცირება სპეციფიური ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავების აქცენტირების მიზნით. შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვებისა და მათზე დაკვირვების შედეგად მოხდება რეაგირება სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის ნორმალური დიაპაზონის დარღვევის შემთხვევაში. შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარი. როგორც მარეგულირებელი დოკუმენტებიდან ირკვევა სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა

თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და სხვა საკითხების შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესი ხორციელდება ელექტრონული ფორმით და ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დაინტერესებული პირები ფლობენ ინფორმაციას სწავლის შედეგების შეფასების შესახებ; სისტემატიურად ეცნობიან ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს და დროულად იღებენ უკუკავშირს პროგრამის ადმინისტრაციის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.

ევროპის მცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ევროპის მცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაცია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი;
- სწავლის მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა;
- ინტერვიუები - პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედეგაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<b>X</b>			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ითვალისწინებს საგანმანათლებლო საფეხურის სპეციფიკას.

ევროპის მცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სამართლის, სოციალური და პოლიტიკის მეცნიერების, ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები), რომელიც წარმატებით გაივლის საერთო სამაგისტრო გამოცდასა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს: 1. ინგლისური ენის გამოცდა B2 დონეზე; 2. სპეციალობის გამოცდა (წერიითი კომპონენტი); 3. გასაუბრება (ზეპირი კომპონენტი). შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალიზაციაში დაკავშირებულია ევროპული ინტეგრაციის მოწყობასთან, ისტორიასთან, ფუნდამენტურ მახასიათებლებთან, რომელიც ამოწმებს პირის ცოდნის დონეს ევროპის კავშირთან მიმართებაში.

ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (TOEFL, IELTS, FCE), ასევე, კანდიდატი, რომელსაც ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხური გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე (ბოლო 2 წლის განმავლობაში), რაც დასტურდება შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით, რომელიც აღიარებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაზე მიღება ხდება თსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე, სადაც წარმოდგენილია გამოცდების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.



გამოცდების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა ხელმისაწვდომია როგორც თსუ-ის ვებ-გვერდზე, აგრეთვე, თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტის ვებ-გვერდსა და facebook გვერდზე.

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი.

სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების, არჩევითი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კრედიტების სახით. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან, რომელთა ჯამი 120 კრედიტია. სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

სასწავლო სემესტრის, ცხრილისა და პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია თსუ-ს ვებ-გვერდზე და ექვემდებარება განახლებას ყოველი სემესტრის დასაწყისში, რექტორის შესაბამისი ბრძანების მიხედვით. გარდა ამისა, ვებ-გვერდზე განთავსებულია პროგრამასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დოკუმენტი.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები;
- [პროგრამების კატალოგი](#);
- თსუ-ის და ევროპული კვლევების ინსტიტუტის [ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია](#).

#### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

#### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

▪

## შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის მიხედვით; გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია, იგი შემუშავებულია 4 ფაკულტეტის (იურიდიული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, ასევე საფაკულტეტო კომისიების ჩართულობით. პროგრამის შემუშავება-გაუმჯობესების პროცესში სტუდენტების ჩართულობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით.

ევროკავშირის გამოწვევებისა და მისი განვითარების დინამიკის, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის პოლიტიკისა და სამაგისტრო პროგრამის იმპლემენტაციის პროცესში შემენილი გამოცდილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მოდიფიცირდა პროგრამის სპეციალიზაციისა და არჩევითი კურსების შინაარსობრივი და ფორმალური მხარე, პროგრამას დაემატა და ამოღებულ იქნა სასწავლო კურსები, კერძოდ, არჩევით კურსებად გათვალისწინებულ იქნა 8 ახალი კურსი:

- მოლაპარაკებების ხელოვნება;
- სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები - მათი უნივერსალური, რეგიონული (ევროპის საბჭო, ევროკავშირი) და კონსტიტუციური დაცვა;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და უმცირესობები;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი;

- საერთაშორისო დავების გადაწყვეტა;
- საერთაშორისო და ევროპული კავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი;
- ადამიანის კონცეფცია ევროპულ ლიტერატურაში რენესანსიდან დღემდე;
- საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი.

პრაქტიკული კომპონენტი გახდა კურიკულუმის ნაწილი და სტუდენტებს არჩევითი კრედიტების ფარგლებში შესაძლებლობა აქვთ, სტაჟირება გაიარონ საქართველის პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში ან საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატაში.

პროგრამის წინა რედაქციით გათვალისწინებული სასწავლო კურსები „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“ და „თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის“ შესასწავლი საკითხების იდენტურობიდან გამომდინარე გაერთიანდა ერთ სასწავლო კურსში - „საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტები“; „კვლევის დიზაინისა და სტატისტიკის“ კურსით გათვალისწინებული საკითხები დაემატა სასწავლო კურსს „კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები“; სასწავლო კურსს „სოციალური პოლიტიკა და მულტიკულტურული პროცესები ევროპაში“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „სოციალური პოლიტიკა ევროპაში“; სასწავლო კურსი „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები“, ვინაიდან დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან, ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - „საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი და ადამიანის უფლებები“.

პროგრამიდან ამოღებულ იქნა შემდეგი სასწავლო კურსები: საჯარო პოლიტიკის ანალიზი; ბიზნესი და მენეჯმენტი ევროკავშირში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კორპორაციებისთვის; მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის სამართალი; კონკურენცია ევროკავშირში; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია; ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და საგარეო ურთიერთობები; ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა; ეთნო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში; ევროკავშირის ენერჯო და სატრანსპორტო პოლიტიკა. ამოღებული სასწავლო კურსების ნაწილი გადავიდა საბაკალავრო პროგრამაზე მოდიფიცირებული სახით ან ინტეგრირდა სხვა სასწავლო კურსებში სილაბუსების შინაარსობრივი ცვლილებების შედეგად.

სამაგისტრო პროგრამაში გაუქმდა მოდულარული სტრუქტურა, 30 კრედიტამდე განისაზღვრა თავისუფალი კრედიტების რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება ექნებათ, აირჩიონ ევროკავშირის Erasmus + სქემის ფარგლებში შემოთავაზებული, ან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ვიზიტორი პარტნიორი ევროკავშირის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის შესაბამისი სასწავლო კურსები, ან/და დარეგისტრირდნენ თსუ-ს სხვადასხვა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კონკრეტულ სემესტრში გახსნილ კურსებზე (ე.წ. cross-listing), სტუდენტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე და ინსტიტუტთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში.

პროგრამის მოცულობა (120 ECTS) და ძირითადი და არჩევითი კომპონენტების გადანაწილება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების

ტრანსფერის სისტემას. ისევე, როგორც შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურის მოცულობას. პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული ძირითადი კურსების სირთულე და განსაზღვრული სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

პროგრამის დაშვების წინაპირობად განსაზღვრული გამოცდა ითვალისწინებს კანდიდატის მიერ სფეროს ზოგადი საფუძვლების ცოდნას. შესაბამისად, პროგრამა აგებულია ამ დაშვების გათვალისწინებით. ასევე, B2 დონის ინგლისურის მოთხოვნა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ ინგლისურენოვანი ლიტერატურის, წყაროების გაცნობის უნარს, ისევე, როგორც ინგლისურენოვანი საგნების დამლევის უნარს.

პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სასწავლო კურსს, სასწავლო დატვირთვის, სირთულის, მახასიათებლების მიუხედავად, მინიჭებული აქვს 5 კრედიტი (გამონაკლისია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც 30 კრედიტიანია). ინტერვიუს ფარგლებში ექსპერტები დაინტერესდნენ კრედიტების განაწილების არსებული ლოგიკით, მეთოდოლოგიით, რაზეც ერთი მხრივ, აკადემიურმა პერსონალმა ხაზი გაუსვა უნიფიცირებული მიდგომის არსებობას, მეორე მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა მიუთითეს აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილებაზე. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსისთვის იდენტური კრედიტის მინიჭებით ყველა სასწავლო კურსი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნიველირებულია, გათვალისწინებული არ არის დარგის, სფეროს, დატვირთვის სპეციფიკა. აქედან გამომდინარე, სასურველია შემუშავდეს სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგიური ლოგიკა და სასწავლო კურსებს კრედიტები მიენიჭოს სირთულის, საკონტაქტო საათების რაოდენობის, განსახორციელებელი აქტივობების გათვალისწინებით.

პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში დაშვების წინაპირობები მეტწილად ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია და მოიცავს ევროპული ინტეგრაციისთვის რელევანტურ სფეროებს, მათ შორის სამართალსა და ეკონომიკაში, რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნეს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ცოდნა როგორც სამართლებრივ, ასევე ეკონომიკის საკითხებთან დაკავშირებით და იმ სტუდენტებს, რომელთაც საბაკალავრო საფეხურზე არ მიუღიათ ცოდნა სამართლისა ან/და ეკონომიკის საბაზისო, ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, მიეცეთ შესაძლებლობა პირველ სემესტრში არჩევით სასწავლო კურსებად გაიარონ სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლები.

სასწავლო კურსები ძირითადად გადის პროგრამის სწავლის მე-2 (გაღრმავება) და მე-3 (განმტკიცება) შედეგებზე, რაც შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ევროპისმცოდნეობის მაგისტრი - შესაბამისობაშია სამაგისტრო პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა, მისი აღწერილობა და დანართები;

- თსუ-ის და ევროპული კვლევების ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების კომიტეტის შემადგენლობა;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 (მოდიფიცირებული 16/2020) დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“ (იხ. <https://tsu.ge/ka/legalakad/15842>);
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია და მოიცავს ევროპული ინტეგრაციისთვის რელევანტურ სფეროებს, მათ შორის სამართალსა და ეკონომიკაში, რეკომენდირებულია იმ სტუდენტებს, რომელთაც საბაკალავრო საფეხურზე არ მიუღიათ საბაზისო ცოდნა სამართლისა ან/და ეკონომიკის ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, მიეცეთ შესაძლებლობა არჩევით სასწავლო კურსებად გაიარონ სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია შემუშავდეს სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგიური ლოგიკა და სასწავლო კურსებს კრედიტები მიენიჭოს სირთულის, საკონტაქტო საათების რაოდენობის, განსახორციელებელი აქტივობების გათვალისწინებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა გაწერილი არის შესაბამის სილაბუსში და ასახავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სახელწოდების, ავტორის, სასწავლო კურსის სტატუსის, მიზნების, კრედიტების რაოდენობის და საათების (ECTS) განაწილების, სწავლის შედეგების, სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების/სწავლის მეთოდების, შეფასების, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის შესახებ. სილაბუსის შედგენის პროცედურები აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ დაცულია სრულად.

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას და ცოდნის სიღრმეს.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ მასალებში ნათლად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების, მათი მიზანშეწონილობის, შინაარსის განსაზღვრაში.

წარმოდგენილი მასალებიდან, ირკვევა, რომ დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მარეგულირებელი აქტები ქმნიან სისტემას, მექანიზმებს/ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის შინაარსის იმავე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების შესაბამის (ამ შემთხვევაში სამაგისტრო) საფეხურთან თანხვედრის, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის/მოცულობის იმავე სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, სილაბუსში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალების კურსის სწავლის შედეგებთან თანხვედრა/შესაბამისობისა და დადარების

უზრუნველყოფა.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. ინტერვიუებით ირკვევა, რომ თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტი ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას.

პროფესორ-მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, მათი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება გვამღებს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლება ძირითადად ხორციელდება აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით გამოიკვეთა ცვლილებების აუცილებლობა:

1. სასწავლო კურსში „ევროპის კავშირის სამართალი“ მითითებული ერთ-ერთი ლიტერატურა (The ABC of European Union Law, 2017) არ შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს და საჭიროებს განახლებას, ჩანაცვლებას ისეთი ლიტერატურით, რომელიც ადეკვატურია სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურთან მიმართებაში. გარდა ამისა, რეკომენდირებულია სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სალექციო თემატიკას დაემატოს ევროპის კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან, ევროპის კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხები.
2. არჩევითი სასწავლო კურსების „ევროკავშირის კონკურენციის სამართალი“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი“, „ევროკავშირის საერთაშორისო კერძო სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი და ინვესტიციები“ მიზანია მისცეს სტუდენტს სიღრმისეული და სისტემატური ცოდნა ევროკავშირის კონკურენციის, სამომხმარებლო, საერთაშორისო, კერძო, ინვესტიციების სამართალში, ასწავლოს სტუდენტებს ევროკავშირის ამ სექტორებში, სფეროებში არსებული რელევანტური ტერმინები და ძირითადი საკითხები. მას არ გააჩნია წინარეკვიზიტი. აღნიშნული სასწავლო კურსების შესასწავლად სტუდენტს მოეთხოვება ევროკავშირის სამართლის ძირითადი საკითხების, ცნებების, ევროპული ინსტიტუტების კომპეტენციების ცოდნა. აქედან გამომდინარე რეკომენდირებულია მათ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ევროპის კავშირის სამართალი“.
3. არჩევითი სასწავლო კურსის „საერთაშორისო სამართალი“ არსებითი ნაწილი ეძღვნება საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს, მათ შორის საერთაშორისო სამართლის თეორიულ ასპექტებს, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალსა და დიპლომატიურ სამართალს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს და სხვა. კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს შესძინოს საერთაშორისო სამართლის ცოდნა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ურთიერთობას და განუვითაროს შესაბამისი წყაროების კვლევისა და ანალიზის ჩვევები. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კავშირის სამართალი დამოუკიდებელი, ავტონომიური სამართლებრივი სისტემაა, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული

საერთაშორისო სამართალთან (განსაკუთრებით კავშირის პრიმერული სამართლისა და ევროპის კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში). საერთაშორისო სამართლებრივი საბაზისო საკითხების, დარგების ცოდნა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ევროპის კავშირის სამართლის ადექვატურად, სრულყოფილად გააზრებისთვის. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საერთაშორისო სამართალი“ იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც საბაკალავრო საფეხურზე არ ჰქონიათ საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებული სასწავლო კურსის გავლის შესაძლებლობა, შეთავაზებული იქნეს პირველივე სემესტრში ან ერთი სემესტრით ადრე ვიდრე ევროპის კავშირის სამართალი. ასეთ შემთხვევაში მათ ექნებათ საშუალება ევროპის კავშირის სამართალი ადექვატურად აღიქვან საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის სისტემაში.

სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები“ მნიშვნელოვანია სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმისათვის, რადგან ძირითადად სწორედ ამ კურსის ფარგლებში ხდება იმ უნარების გამომუშავება, რომლებიც აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად. სილაბუსში, საათობრივი განაწილების დატვირთვაში აღნიშნულია საკურსო სამუშაო/პროექტი, გაწერილია საკურსო პროექტის შესრულების ეტაპები და შინაარსი. პროექტის შეფასება ხდება დასკვნითი გამოცდის სახით. აღნიშნული დატვირთვა და შეფასება შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

ძირითადი კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სწავლის შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი წყარო რამდენიმე წლის წინ არის გამოცემული, მათი აქტუალურობა და თემატური შინაარსი პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. გარდა ამისა, დამხმარე მასალებში მითითებულია ვებ-გვერდები, ინტერნეტ რესურსები და საკანონმდებლო აქტები, რომლებიც საჭიროა კურსით გათვალისწინებული მასალის შესასწავლად და თანამედროვე ვითარების ანალიზისათვის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აღწერა.

#### **რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსში „ევროპის კავშირის სამართალი“ მითითებული ერთ-ერთი ლიტერატურა (The ABC of European Union Law, 2017) არ შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს და საჭიროებს ჩანაცვლებას ისეთი ლიტერატურით, რომელიც ადექვატურია სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურთან მიმართებაში.
- სასწავლო კურსით „ევროპის კავშირის სამართალი“ გათვალისწინებულ სალექციო თემატიკას დაემატოს ევროპის კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების



<p>პოლიტიკასთან, ევროპის კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ არჩევითი სასწავლო კურსების „ევროკავშირის კონკურენციის სამართალი“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი“, „ევროკავშირის საერთაშორისო კერძო სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი და ინვესტიციები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ევროპის კავშირის სამართალი“.</li> <li>▪ იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც საბაკალავრო საფეხურზე არ ჰქონიათ საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებული სასწავლო კურსის გავლის შესაძლებლობა, შეთავაზებული იქნეს პირველივე სემესტრში ან ერთი სემესტრით ადრე ვიდრე ევროპის კავშირის სამართალი.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>▪</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგებში და ძირითადად, გათვალისწინებულია კურსებში.

პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პრაქტიკა-სტაჟირება როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციებში შესაძლებელია სტუდენტის სურვილისამებრ, რადგანაც სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ძირითადად დასაქმებულები არიან, პრაქტიკას არ აქვს სავალდებულო ხასიათი და არის არჩევითი.

გასაუბრების დროს აკადემიურმა პერსონალმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს, რომ პრაქტიკული ელემენტი, პრაქტიკული უნარების განმავითარებელი მეთოდები ასევე ჩაშენებულია სასწავლო კურსებში (მაგ.: ევროპის კავშირის სამართალი, ევროპის კავშირის სამართალი და ინვესტიციები, საერთაშორისო დავების გადაწყვეტა, ევროკავშირის ინტეგრაციის ეკონომიკა და სხვა), რასაც უზრუნველყოფს სწავლება სწავლის და შეფასების შესაბამისი მეთოდები და აქტივობები.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო კვლევით მუშაობაში, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში. სტაჟირების ფარგლებში სამაგისტრო პროგრამის 25 სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემათ გაიღრმავონ მიღებული თეორიული ცოდნა და შეისწავლონ ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პრაქტიკა. სტუდენტს მოუწევს ევროკავშირის დირექტივების/რეგულაციების სიღრმისეული ანალიზი და მისი ქართულ კანონმდებლობაში ადაპტირების გამოწვევების გააზრება და შესაძლო შედეგების შეფასება. ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის მისადაგება ქართულ რეალობასთან.

სასწავლო პრაქტიკის გავლა პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნულ კომიტეტში, რომელთანაც თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს სალექციო კურსებს, საჯარო შეხვედრებში მონაწილეობას და ჯგუფურ მუშაობას.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფაკულტეტზე ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა და მათი ინტერესების და კმაყოფილების კვლევა. ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს სტუდენტების სურვილები და ინტერესები მათი მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებისა და განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოჩნდა, რომ სტუდენტებს აქვთ ფაკულტეტის ხელშეწყობა კვლევების განხორციელების და კონფერენციებზე მონაწილეობის მხრივ.

სამაგისტრო პროგრამაში კვლევითი კომპონენტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ერთჯერადად ფასდება 100 ქულით.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების მიერ შესრულებული მაღალი დონის კვლევითი ნაშრომები, თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მიერ განიხილება და დადებითი დასკვნის მიღების

<p>შემთხვევაში მოხდება მათი გამოქვეყნება.</p> <p>დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი, რომლის შესაბამისი იყო აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ მოთხოვნილი და გაანალიზებული სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც 2017-2021 წლებში იქნა მომზადებული.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ევროპის მცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>▪ სილაბუსები;</li> <li>▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან;</li> <li>▪ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი;</li> <li>▪ მემორანდუმები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>▪</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსების შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის: დისკუსია, გუნდური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, ევროკავშირის სიმულაცია, პრეზენტაციები, შერეული სწავლება ან დისტანციური ლექციები, როგორც ელექტრონული სწავლების ცალკეული ელემენტი.

სწავლის განმავლობაში მაგისტრატურის სტუდენტებს უწევთ შემთხვევის ანალიზისა და დახურული ტიპის კითხვებისგან შედგენილი ტესტების ჩაბარება, რათა უკეთ გაერკვიონ განსახილველ საკითხში და შეძლონ ევროპული სტანდარტების პრაქტიკისათვის მისადაგება.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს მოეთხოვებათ თეორიული მასალის მომზადება, სხვადასხვა დავალების შესრულება ტესტების, სავარჯიშოებისა თუ სხვა სახით.

ევროპული კვლევების ინსტიტუტში სასწავლო პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ევროკავშირის სიმულაცია.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტმა 2022 წლის 2-5 მარტს ევროკავშირის ჟან მონეს/Jean Monnet პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ II სამუშაო ფაზის ოთხდღიან სამუშაო შეხვედრებს უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრები ძირითადად დაეთმო სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომელშიც მონაწილეობდნენ თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტებისა და თსუ-ის ცენტრალური ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები, დაინტერესებული მხარეები.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟან-მონეს პროექტის შეხვედრების ოქმები;
- ინრერვიუს შედეგები;
- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აღწერა;

<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სილაბუსები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>▪</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად, შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის</p>

დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

სტუდენტთა შეფასების სისტემა ასახულია სტუდენტთა მარეგულირებელ წესში, რომელიც საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აღნიშნული წესი არეგულირებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის, სწავლის საფასურის, შეფასებისა და სხვა პროცედურებს. იგი განსაზღვრავს ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის მინიმალურ ზღვრებს, რომლის მიხედვითაც, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც 100 ქულიანი სისტემიდან, შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულით დააგროვებს არანაკლებ 51 ქულას; ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარია გამოცდისთვის განსაზღვრული ქულის მინიმუმ 50%-ის დაგროვება. კონკრეტული მინიმალური ზღვრები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი სილაბუსების ზოგიერთ ნაწილში გამოყენებულია წერიტი/ტესტირების/ზეპირი/პრეზენტაციის/კვლევითი პროექტის შეფასების მეთოდები.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის, პროგრამის სილაბუსები წინასწარ ეტვირთებათ სტუდენტების ელექტრონულ პორტალზე, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალი სალექციო კურსის და გამოცდების დასაწყისში ახდენს კურსის შემადგენელი შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების განმარტებას.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია კონკრეტული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, რაც წინსწრებითაა ცნობილი სტუდენტებისათვის. თუმცა, ზოგიერთ სასწავლო კურსში, აღნიშნული ინფორმაცია არ არის სრულად წარმოდგენილი. კერძოდ, სასწავლო კურსებში - „ევროპის კულტურული მოზაიკა“, „ევროპის ისტორია“, „საერთაშორისო და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, „ადამიანის კონცეფცია ევროპულ ლიტერატურაში რენესანსიდან დღემდე“, „მოლაპარაკების უნარები“, „მოსახლეობა და ევროპული განვითარება“, კვლევითი თემის პრეზენტაციისათვის არ არის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისად, რეკომენდირებულია, აღნიშნულ კურსებს დაემატოს შეფასების კომპონენტის აღწერა და გაიწეროს შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

ასევე, სასწავლო კურსში „საერთაშორისო და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, შეფასების კომპონენტებისთვის მინიჭებული ქულებისა და შემდგომ ჩაშლილი კომპონენტების აღწერისას მითითებული ქულები არ ემთხვევა ერთმანეთს. აგრეთვე უშუალოდ კომპონენტის აღწერაში მითითებული ინფორმაცია არ შეესაბამება კრიტერიუმების მიხედვით მისანიჭებელ ქულებს. კერძოდ, შეფასების სისტემა განსაზღვრულია შემდეგნაირად: სასემინარო ანგარიში - 30 ქულა, შუალედური შეფასება - 30 ქულა, კვლევითი თემის პრეზენტაცია - 10 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა, ხოლო თითოეული კომპონენტის აღწერისას, მაგალითად, სასემინარო ანგარიშისთვის მინიჭებულია - 20 ქულა, ხოლო აღწერა მოიაზრებს 10 სასემინარო ანგარიშის წარდგენას, რომელთაგანაც თითოეული მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება (სულ 30 ქულა), რაც წინააღმდეგობაში მოდის კომპონენტისათვის განსაზღვრულ ქულასთან, თუმცა,

თავსებადია თავდაპირველად განსაზღვრულ ქულათა გადანაწილებასთან. შესაბამისად, რეკომენდირებულია, შესწორდეს აღნიშნული ხარვეზი და შეფასების სისტემა, კომპონენტებისადმი მინიჭებული ქულები და რუბრიკები მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში.

ასევე, სასწავლო კურსის სილაბუსში - „მოლაპარაკების უნარები“, სასემინარო ანგარიშებისათვის 100 ქულიან გადანაწილებაში განსაზღვრულია - 30 ქულა, ხოლო კომპონენტის აღწერისას - 40 ქულა, რასაც ემთხვევა შესაბამისი აღწერაც (რვა 5 ქულიანი ანგარიშის წარდგენა). შესაბამისად, რეკომენდირებულია გადაიხედოს აღნიშნული კურსის შეფასება და გასწორდეს ხარვეზი.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, როგორც სასემინარო აქტივობებისას ასევე მათთვის გამოყოფილი საკონსულტაციო საათების დროს. ინტერვიუების პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ლექტორებთან შესაძლებელია კომუნიკაცია ელექტრონული მეილისა და სატელეფონო არხების საშუალებით, ასევე სტუდენტის ელექტრონულ უწყისს აქვს შეტყობინების ფუნქცია, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან უშუალოდ დაამყაროს კავშირი და მიიღოს რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ.

თსუ-ში სტუდენტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების უფლება. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას უფლებამოსილია გაასაჩივროს. გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა <https://www.tsu.ge/assets/media/files/1/gamocdebis-chatarebis-instrucia.pdf>.

თსუ-ში მოქმედებს სამართლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი სადაც ნათლადაა გაწერილი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა. მაგისტრანტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვისათვის მომზადებას. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები (შეფასების მეთოდები):

- ა. სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება;
- ბ. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასება;
- გ. დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება.

სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარე ფასდება 50 ქულით, პრეზენტაცია - 30 ქულით, ხოლო დისკუსიაში მონაწილეობა - 20 ქულით.

ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი სპეციალური კომისიის წევრთა რაოდენობაზე). კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

უნივერსიტეტში არსებობს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია თუმცა, არ

არის განსაზღვრული ტექსტში ციტირების გარკვეული სტილის გამოყენების განმარტება. ეს ყოველივე ჩანს წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებშიც. რეკომენდირებულია განისაზღვროს ციტირების აკადემიური გაფორმების სტილი. სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება სპეციალურ ანტი პლაგიატის (Turnitin) პროგრამაზე.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილება N77 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ (<https://tsu.ge/ka/legalakad/40164>);
- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ვებ-გვერდი [www.ies.tsu.edu.ge](http://www.ies.tsu.edu.ge);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია <https://www.tsu.ge/assets/media/files/1/gamocdebischatarebis-instrucija.pdf>;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის ინსტრუქცია (დანართი 15) <https://tsu.ge/assets/media/files/8/Magistratura/M-SAM-gamoc-wesebi.pdf>;
- ინტერვიუს შედეგები.

### რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში - „ევროპის კულტურული მოზაიკა“, „ევროპის ისტორია“, „საერთაშორისო და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, „ადამიანის კონცეფცია ევროპულ ლიტერატურაში რენესანსიდან დღემდე“, „მოლაპარაკების უნარები“, „მოსახლეობა და ევროპული განვითარება“, კვლევითი თემის პრეზენტაციისათვის განისაზღვროს შეფასების კომპონენტის აღწერა და გაიწეროს შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში - „საერთაშორისო და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ და „მოლაპარაკების უნარები“ გასწორდეს ხარვეზები შეფასების სისტემაში, კერძოდ, კომპონენტებისადმი მინიჭებული ქულები და რუბრიკები მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში.
- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამისთვის განისაზღვროს ციტირების აკადემიური გაფორმების სტილი.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-



**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

ევროპული კვლევების ინსტიტუტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებზე ორიენტირებულ გარემოს და ახორციელებს სტუდენტებთან ეფექტიან კომუნიკაციას პირველივე სემესტრიდან - სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით. როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ინტერვიუებიდანაც დასტურდება, სტუდენტებს მუდმივი და აქტიური კომუნიკაცია აქვთ, სწავლის ყოველ ეტაპზე, ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან და ყოველთვის იღებენ მათთვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაციასა და დახმარებას. ამასთან, ინსტიტუტის მხრიდან სისტემატიურად ხდება საჯარო ლექციებისა თუ სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შეთავაზება სტუდენტებისადმი.

სტუდენტები დასაქმების, კარიერულ განვითარებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაციას იღებენ როგორც უნივერსიტეტის მხრიდან, ასევე, ევროპული კვლევების ინსტიტუტიდან, რომელიც ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ სტუდენტებისათვის ახორციელებს დამატებით მხარდაჭერას და უშუალოდ მათთვის რელევანტური ინფორმაციის მიწოდებას.

გარდა იმისა, რომ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ ზოგადად, უშუალოდ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა უქმნის შესაძლებლობას სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა და ისწავლონ ორმხრივი თანამშრომლობისა და ორმაგი ხარისხის პროგრამის ფარგლებში ვილნიუსისა და ვარშავის უნივერსიტეტებში.

პროგრამის ფარგლებში საჭირო სასწავლო რესურსები განთავსებულია ევროპული კვლევების ინსტიტუტის სივრცეში და ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულები არიან და აქტიურად იყენებენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს (EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა), რომელზე თავისუფალ წვდომასაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები;
- სტუდენტთა მობილობის ამსახველი დოკუმენტი;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

იურიდიული ფაკულტეტის ფარგლებში, სადაც ხორციელდება ევროპისმცოდნეობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, არსებობს სამეცნიერო კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევას, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული პერსონალი, რომელსაც ექნება ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები. ამასთან, ვინაიდან პროგრამა არის ინტერდისციპლინური, თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია სტუდენტს ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, თემის შინაარსისა და ხელმძღვანელის კვალიფიკაციის შესაბამისობას დამტკიცებამდე დამატებით ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი. ორმაგი ხარისხის პროგრამის სტუდენტებისათვის, განსაზღვრულია ორი ხელმძღვანელის არსებობა, ერთი თსუ-ს აკადემიური პერსონალით, ხოლო მეორე ვილნიუსის უნივერსიტეტის შესაბამისი პერსონალით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ნაშრომზე მუშაობის პროცესში. კერძოდ, როგორც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად დასტურდება, ხელმძღვანელები ეხმარებიან სტუდენტებს როგორც სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევაში, ასევე საჭირო ინფორმაციის, სტატიებისა და სხვა რესურსების მოძიებაში.

ამასთან, ევროპული კვლევების ინსტიტუტი აკადემიური წერის კურსის ხელმძღვანელთან ერთად აქტიურად ახორციელებს დამატებით კონსულტაციებს სტუდენტებისათვის სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებული აკადემიური სტილისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით. ნაშრომები პლაგიატზე მოწმდება Turnitin-ის პროგრამის გამოყენებით ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ და უკუკავშირის სახით შედეგები ეცნობებათ სტუდენტებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპული კვლევების ინსტიტუტში არსებობს რეფერირებადი და რეცენზირებადი ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც შესაძლებლობას უქმნის პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს გამოაქვეყნონ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო სტატია, რაც სტუდენტებისათვის კარიერული განვითარების დამატებით შესაძლებლობას ქმნის.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი;
- პერსონალის პირადი საქმეები;

<ul style="list-style-type: none"> <li>უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პროფესორები აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული არიან ღია აკადემიურ კონკურსში მონაწილეობის საფუძველზე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესაბამისად. აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი (მათ შორის მოწვეული პერსონალიც) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე. აღსანიშნავია, რომ არაერთ პროფესორსა და მოწვეულ ლექტორს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი მოპოვებული აქვს უცხოურ/დასავლურ უნივერსიტეტში. მათი კვალიფიკაცია დასტურდება ასევე შესაბამის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, სამეცნიერო პუბლიკაციებითა და პედაგოგიური პრაქტიკით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება იმ სასწავლო კურსების თემატიკას, რომლებსაც ისინი უძღვებიან პროგრამის ფარგლებში. გასულ წლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები იქმნებოდა შესაბამისი მიმართულებით სათანადო კომპეტენციების მქონე პირთა ხელმძღვანელობის პირობებში. ამასთან, აშკარაა, რომ ხელმძღვანელობის უფლებით სარგებლობენ როგორც აკადემიური თანამდებობის პირები, ისე მოწვეული ლექტორები.

პროგრამას არ გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რადგან პროგრამაში ჩართული ყველა პროფესორ-მასწავლებელი ძირითადად დასაქმებულია სხვა

ფაკულტეტზე ან სხვა უნივერსიტეტში. მათი ძირითადი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული დატვირთვა შესაბამის ფაკულტეტზე ან უნივერსიტეტში სრულდება. ევროპისმცოდნეობაზე წაკითხული სასწავლო კურსები პროფესორ-მასწავლებლებისთვის უმეტესწილად დამატებითი დატვირთვაა, რომელიც მათი ძირითადი სახელფასო სარგოსგან დამოუკიდებლად ანაზღაურდება დადგენილი საგანგებო ტარიფით (50 ლარი/საათი). ამრიგად, აკადემიური პერსონალის დატვირთვა (მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის გათვალისწინებით) ხშირად ძალიან დიდი გამოდის. უშუალოდ პროგრამასთან დაკავშირებული და პროგრამის მიზნების განსახორციელებლად დასაქმებული აკადემიური პერსონალის ნაკლებობა სათანადოდაა გაცნობიერებული თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე პირების მიერ, რაც დასტურდება იმით, რომ პროგრამის ერთ-ერთ გასაუბჯობესეელ მხარედ „ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის შტატების დაშვება“ სახელდება. თუმცა არსებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი დაბალია (1) და არ უქმნის საფრთხეს პროგრამის განხორციელებას.

ამჟამად პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესორ-მასწავლებელი, რომელთაგან 5 ავილირებული პროფესორის თანამდებობას იკავებს, 11 კი — მოწვეული ლექტორისას. პროგრამაზე ირიცხება 35 სტუდენტი. საშუალოდ თითო პროფესორ-მასწავლებელს ორ-ორ სტუდენტთან უწევს მუშაობა (მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისას). ამრიგად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეიძლება ადეკვატურად მივიჩნიოთ სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით. ის, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამისთვის, დადასტურდა ინტერვიუებითაც: სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ცნობით, პროფესორ-მასწავლებლები ყოველთვის სწრაფად პასუხობენ მათ კითხვებს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით; ვერც ერთი მათგანი ვერ იხსენებს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ უარის თქმას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე. ამრიგად, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირების პროცესში. პროფესორ-მასწავლებლებს ასევე შეაქვთ თავიანთი წვლილი პროგრამის განვითარებაში და ამ მიზნით მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში (იხ. 4.2).

პროგრამას იმპლემენტაციის ადმინისტრაციულ მხარეს უხელმძღვანელებს თსუ-ის ევროპის კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, რომელსაც მიღებული აქვს მულტიდისციპლინური და საერთაშორისო განათლება სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით. მისი კვალიფიკაცია დასტურდება მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებითაც ევროინტეგრაციის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოფიციალური სტატუსია „პროგრამის ავტორი და კოორდინატორი“, იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში, რასაც ვერ ვიტყვით პროგრამის ხელმძღვანელებზე. მართალია, ისინი ინაწილებენ პასუხისმგებლობას ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური პროგრამის ოთხ მიმართულებაზე (სამართალი, პოლიტიკა, ეკონომიკა, ჰუმანიტარული მეცნიერებები), მაგრამ მათი ჩართულობა პროგრამის შეფასება-განვითარების საქმეში არ დასტურდება. ამ ფუნქციებს სრულად ითავსებს პროგრამის კოორდინატორი, რაც იმითაც დასტურდება, რომ სტუდენტები სწორედ მას ასახელებენ პროგრამის ხელმძღვანელად, მას მიმართავენ

კონსულტაციებისთვის და მას ხვდებიან ყოველი სემესტრის ბოლოს გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე. კოორდინატორის საქმიანობა გამიჯნული, მაგრამ შეთანხმებულია ევროპის კვლევების ინსტიტუტის დირექტორის ტექნიკური ასისტენტის ფუნქციებთან. კოორდინატორთან ერთად სწორედ ეს უკანასკნელი ასრულებს პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს, რისთვისაც მას აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით;
- სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა იყოს დაბალანსებული იმგვარად, რომ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა მეტად იყოს დაკავშირებული ევროპისმცოდნეობის პროგრამასთან;
- პროგრამის ხელმძღვანელები სრულად უნდა იყვნენ ჩართული პროგრამის შეფასება-განვითარების პროცესში და პროგრამის განხორციელების პროცესში მათი როლი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი დარგობრივი მიმართულების ხელმძღვანელობით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა მეტ-ნაკლებად ერთნაირი ხარისხის იყოს (მაგალითად, ყველა მათგანს ჰქონდეს პუბლიკაციები დასავლურ რეფერირებად ჟურნალებში).
- სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ბირთვული ნაწილი ევროპისმცოდნეობის პროგრამისა და ინსტიტუტის მიზნებისთვის იყოს არჩეული აკადემიურ თანამდებობებზე და სრული დატვირთვით იყოს ჩართული მის განხორციელებაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- უცხოელი პერსონალის ჩართულობა სასწავლო პროცესსა და პროგრამის მართვაში.



- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაბარი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თსუ-ში პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევა ყოველწლიურად ხორციელდება ცენტრალიზებულად, სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აკადემიური პერსონალისთვის შედგენილი თვითშეფასების კითხვარები ძირითად სასწავლო საქმიანობის შეფასებასთან ერთად მოიცავს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის შეფასებასაც. პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგების გათვალისწინებით მზადდება გზამკვლევები და ვიდეორგოლები, ითარგმნება სახელმძღვანელოები სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაში, ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდის შევსება, ტარდება ტრენინგები და სემინარები, ვრცელდება ინფორმაცია საგრანტო კონკურსების შესახებ. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, თსუ-ში ასევე მოქმედებს პერსონალის წახალისების

მექანიზმი: ძალიან კარგი პუბლიკაციის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფულადი ჯილდო. თუმცა დაწინაურება ხდება არა პერსონალის შეფასების შედეგების საფუძველზე, არამედ ღია კონკურსში მონაწილეობის შედეგად.

თავის მხრივ პროგრამის ხელმძღვანელობაც ზრუნავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე და ამისთვის იყენებს, მაგალითად, პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლება და სწავლა“ (INOTLES 543955) ფარგლებში ექსკლუზიურად ამ პროგრამისთვის განხორციელებული კოლეგიალური დაკვირვების/შეფასების შედეგებს. ამ და სხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაძლებლობა, აიმაღლოს თავისი პედაგოგიური კომპეტენცია, გააუმჯობესოს სასწავლო გეგმა (სილაბუსები), მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში, გამოაქვეყნოს ნაშრომები ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ორენოვან ჟურნალში და ა.შ. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას ემსახურება ასევე გარკვეული სიხშირით (ხუთ წელიწადში ერთხელ) აკადემიური შვებულებით (ინგლ. Sabbatical leave) სარგებლობის შესაძლებლობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი;
- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში 2020;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობა 2021 წელს;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ ჩატარებული ტრეინინგებითა და ვორკშოპებით, არამედ ითვალისწინებდეს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო პირობების (მექანიზმების) შექმნასაც.
- კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს თავისი აკადემიური პერსონალი შესაბამისი სამუშაო სივრცით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

**შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა ხორციელდება თსუ-ის მეორე კორპუსში ევროპული კვლევების ინსტიტუტისთვის საგანგებოდ გამოყოფილი და ახლად გარემონტებული სივრცისა და ინფრასტრუქტურის ბაზაზე, რომელიც ამჟამინდელი მოცემულობით მოიცავს ორ აუდიტორიას, საკონფერენციო დარბაზს, ბიბლიოთეკას, სამ სამუშაო ოთახს ადმინისტრაციული პერსონალისთვის და ერთ სანიტარულ კვანძს. აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერითა და პროექტორებით. ეს სივრცე იტვირთება მხოლოდ საღამო საათებში, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სრულიად საკმარისია სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება აქტუალური დასავლური სამეცნიერო ლიტერატურით ხორციელდებოდა ეტაპობრივად, უმეტესად სხვადასხვა საგრანტო პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხით. სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში ვერ შემოწმდა სარემონტო სამუშაოების გამო და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ ევროპული კვლევების ინსტიტუტთან არსებულ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები არაა ინტეგრირებული საერთო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის კატალოგში და, ამრიგად, არც ინტერნეტში არაა ხელმისაწვდომი. თუმცა სტუდენტებთან ჩატარებულ ინტერვიუებში წარმოჩნდა, რომ

პანდემიის განმავლობაში სავალდებულო ლიტერატურა მათ ეგზავნებოდათ ელ. ფოსტით და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა არ დაბრკოლებულა. იმავე ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე და სარგებლობენ ამ ბაზებით სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას. მართალია, პანდემიით განპირობებული შეზღუდვების გამო სტუდენტებს არ უსარგებლიათ ინსტიტუტში არსებული აღჭურვილობით, მაგრამ არსებული სივრცის ნაწილობრივი დატვირთულობა გვაპარაუდებინებს, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს დღის საათებში ექნებოდათ შესაძლებლობა, ესარგებლათ მოცემული ინფრასტრუქტურით როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური სამუშაოებისთვის. ინტერვიუებში გამოაშკარავდა, რომ სტუდენტებმა იციან არსებული მატერიალური და ტექნიკური ბაზის არსებობის შესახებ, მაგრამ ჯერ არ ჰქონიათ მისი გამოყენების საჭიროება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპული კვლევების ინსტიტუტის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- წიგნად ფონდზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ევროპული კვლევების ინსტიტუტთან არსებული საბიბლიოთეკო რესურსები აისახოს საერთო საუნივერსიტეტო კატალოგში.
- კონტინგენტისა და სასწავლო კურსების მატების შედეგად არსებული აუდიტორიების სრულად დატვირთვის შემთხვევაში სტუდენტებისთვის საჭირო იქნება სამუშაო სივრცის გამოყოფა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ევროპული კვლევების ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბიუჯეტი. ინსტიტუტის შემოსავლების ძირითადი წყაროა სწავლის საფასური, რომელსაც ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იხდიან. შემოსავლების თითქმის ნახევარი იხარჯება საათობრივად მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე. ბიუჯეტში ასევე გამოყოფილია სამეცნიერო ლიტერატურის შესაძენად, აკადემიური პერსონალის მივლინებების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისთვის განკუთვნილი თანხები. საჭიროების შემთხვევაში თსუ-ის ცენტრალური ბიუჯეტიდან შესაძლებელია დამატებითი ხარჯების გაწევაც პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად. პროგრამის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები წარმოდგენილ ბიუჯეტში მოცემული არ ყოფილა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტთა პროგრესის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა უნივერსიტეტისთვის მომავალშიც ეკონომიკურად მიღწევადი იქნება.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ევროპული კვლევების ინსტიტუტის ბიუჯეტი.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>

<ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საუნივერსიტეტო სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის დამკვირდებაზე ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დონეზე ახორციელებს სწავლა-სწავლების, კვლევის, უნივერსიტეტის მესამე მისიის (საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა) და ინსტიტუციური ეფექტიანობის ხარისხის უზრუნველყოფას.

დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ნათლადაა გაწერილი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზანი, რომელსაც წარმოადგენს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და გაძლიერება. დაწესებულებაში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ მათ დამტკიცებამდე; სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასებას; დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების პროცესში; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული წესისა და ინდიკატორების შესაბამისად; დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ორგანიზებას მათი კმაყოფილების კვლევას თსუ-ის საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და საბიბლიოთეკო ფონდებით; კონსულტაციების გაწევას აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალისთვის ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე; თვითშეფასების პროცესის კოორდინირებას აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელება დადასტურდა ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტის დროს როგორც დოკუმენტაციის ანალიზით, ასევე ინტერვიუების მეშვეობით. პროგრამა ხორციელდება იურიდიულ ფაკულტეტზე, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა თავისი შინაარსით არის ინტერდისციპლინური და წარმოადგენს ოთხი ფაკულტეტის კოლაბორაციას, პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულები არიან ოთხივე ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურები. ინტერვიუების მეშვეობით დადასტურდა, რომ პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით იმართებოდა ერთობლივი შეხვედრები ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით, სადაც განხილული იყო პროგრამაზე არსებული საჭიროებები, მათი გადაჭრის გზები და სხვა მიმდინარე საკითხები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შიდა შეფასების ნაწილში ჩართულია ევროპული კვლევების ინსტიტუტი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. უფრო კონკრეტულად, თსუ-ის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის და მათ შორის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება პრინციპს: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“.

პროგრამის განვითარების მხარდამჭერი კომიტეტისა და ევროპული კვლევების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ოქმებში გახილულია პროგრამის განვითარებასა და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში ასევე მკაფიოდ იკვეთება Erasmus+ ჟან მონეს საერთაშორისო პროექტის როლი, რომლის შეხვედრების ფარგლებში შედგა მნიშვნელოვანი შეთანხმებები პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიმართულებით. დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ კომიტეტის ჩამონათვალით გათვალისწინებული პირები, არამედ ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებული მხარეების ძალიან ფართო სპექტრი.

პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურები, რაც დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის დადგენილი დაცულია („საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა,“ დამტკიცებული აკადემიური საბჭოს N16/2020 დადგენილებით). პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებას ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სტუდენტებიც. დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ საფაკულტეტო გამოკითხვების პარალელურად, პროგრამის შიგნით ჩატარებულია გამოკითხვები უშუალოდ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის, რომლის შედეგად დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა, დამატებული იქნა მათთვის რელევანტური სასწავლო კურსები.

დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით პროგრამის პირველად სამუშაო ვერსიას შეიმუშავებს შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური პერსონალი. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის კოორდინატორის, ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორისა და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრის ჩართულობა პროგრამის შემუშავების, გაუმჯობესების, ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის ნაწილში ძალიან მაღალია. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგი არის წარმმართველი



და მაკოორდინირებელი რგოლი მთელი პროცესისა, რომლის საბოლოო მიზანს პროგრამის გაუმჯობესება და განვითარება წარმოადგენს. გარდა ამისა, პროგრამის კოორდინატორი ევროპული კვლევების ინსტიტუტის დაარსების დღიდან ჩართულია ყველა პროცესში, რაც საგანმანათლებლო პროგრამას უკავშირდება, აქედან გამომდინარე ის ფლობს ინსტიტუციურ მეხსიერებას პროგრამის განვითარებასთან მიმართებით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში მსგავსი პრაქტიკა მიღებულია - არსებობს შემთხვევები, როდესაც პროგრამას შესაძლებელია ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი და ასევე კოორდინატორი, რომელიც ტექნიკური საკითხების კოორდინირების ვალდებულებას იღებს. კონკრეტულად ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში ასევე იკვეთება მოდულების/მიმართულებების ხელმძღვანელების როლიც, რომლებიც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელებად არიან დასახელებული. ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამის ყველა ხელმძღვანელი მუშაობს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებაზე, თუმცა ძირითადად სასწავლო კურსების დახვეწისა და მათი შინაარსობრივი განვითარების მიმართულებით. კოორდინატორთან შედარებით მათი როლი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესში სუსტად არის წარმოდგენილი.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილებით „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმარების, შემუშავების, შეფასებისა დგანვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“;
- თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“ (იხ. დანართი 17);
- თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- სტუდენტების, პერსონალის, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2019 წლის 26 თებერვლის ბრძანება N01/03 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარების დამტკიცების შესახებ“;
- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- ევროპული კვლევების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ევროპისმცოდნეობის

<p>საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმები.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების პრაქტიკას და მის შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.</p>

პირველად გარე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განხორციელების პროცესში მოხდა 2011 წელს, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ასევე 2017 წელს შეფასდა სწავლების ინოვაციური მეთოდების სასწავლო პროცესში ინტეგრაციისა და გამოყენების ეფექტურობა. დოკუმენტაციის შესაწავლისა და ინტერვიუს მეშვეობით დადასტურდა, რომ ტემპუსის პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლება და სწავლა“ (INOTLES 543955) დასკვნით ეტაპზე ნიდერლანდების სამეფოს მასტრიხტის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან დაკომპლექტებული მონიტორინგის კომისია უშუალოდ სწავლების პროცესში ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის პროგრამების განხორციელების პროცესში ჩართულ აკადემიურ პერსონალს და რამდენიმე დღიანი მონიტორინგის შემდეგ უმაღლესი შეფასება მისცა, როგორც ინდივიდუალურად სწავლების კომპონენტში, ასევე ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების პროექტის მონაწილე უნივერსიტეტებს შორის შედარებითი ანალიზის ნაწილშიც.

ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში და განსაკუთრებით აკადემიური კეთილსინდრიების პრინციპის მნიშვნელოვნების ხაზგასმის მიზნით, ინსტიტუტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტი პირველი იყო დაწესებულებაში, რომელიც გამოვიდა ინიციატივით სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა ნაშრომები შემოწმებულიყო პლაგიატზე.

ასევე დასტურდება, რომ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და მასშტაბური შეფასება განხორციელდა 2019 წელს ვილნიუსის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ, როდესაც დაიწყო მოლაპარაკებები ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაზე. ვილნიუსის უნივერსიტეტმა პროგრამის შეფასების მიზნით დეტალურად შეისწავლა ყველა მოქმედი სილაბუსი, პროგრამა და სილაბუსები დადარდა მათ სა მაგისტრო პროგრამასთან, შეფასდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, მათ შორის, სასწავლო გარემოში. საბოლოოდ, შეფასების პროცესი დასრულდა 2022 წლის დასაწყისში გაფორმებული შეთანხმებით ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების თაობაზე, რომელიც 2022-2023 სასწავლო წლიდან დაიწყებს სტუდენტების მიღებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის დადგენილება N80/2018 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ([იხ.https://tsu.ge/ka/legalakad/15993](https://tsu.ge/ka/legalakad/15993));
- თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ადმინისტრაციის კორესპონდენცია თსურექტორთან და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ;
- ჟან მონეს პროექტის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად აშკარად იკვეთება ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, რომელიც გააჩნია პროგრამას არა მხოლოდ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის კუთხით, არამედ პროგრამის გარე შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება სათანადო კრიტერიუმების და მონაცემების გამოყენებით, რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2021 წელს მიმდინარე ევროკავშირის ჟან მონეს პროექტს, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამის ან ცალკეული კურსების შესახებ საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით კონსულტაციები წარიმართა სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან: ბელგიის გენტის უნივერსიტეტი, ბრიტანეთის ვესტმისტერის უნივერსიტეტი, ვარშავის კოლეგიუმ ცივიტასი, ბელფასტის ქვინსის უნივერსიტეტი, კიევ-მოჰილას აკადემია, ბუქარესტის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტ-ვიადრინას საჯარო მმართველობის პლატფორმაზე შექმნილი ეუთოს ყირგიზეთის აკადემია.

ასევე, თვითშეფასების ანგარიშისა და დოკუმენტაციის ანალიზის მიხედვით დასტურდება პროგრამის დადარება და საუკეთესო გამოცდილების 2019 წელს ლიეტუვის ვილნიუსის უნივერსიტეტის და ლატვიის ვიდზემეს უნივერსიტეტთან ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამების შექმნის მიზნით. ორივე შემთხვევაში ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დასტურდება, რომ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ასევე პროგრამის გაუმჯობესების საკითხში ჩართულია პროგრამაში არსებული ოთხივე მიმართულების/ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. დასტურდება ინდივიდუალური თუ ჯგუფური შეხვედრები და გამოკითხვები სტუდენტებთან, სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასების მიზნით. სტუდენტები ინტერვიუს დროს ადასტურებენ პროგრამის კოორდინატორთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ეფექტურ კომუნიკაციას, გამოკითხვებში მონაწილეობასა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. წარმოდგენილია ფაკულტეტის შიდა საუნივერსიტეტო, სტუდენტების გამოკითხვისაგან დამოუკიდებელი, ევროპისმცოდნეობის სტუდენტების გამოკითხვის შედეგებიც.

დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგად დასტურდება, რომ ისინი ჩართულები არიან პროგრამის შეფასების, გაუმჯობესებისა და განვითარების საკითხებში. უნდა აღნიშნოს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები, რომელთა ნაწილი უკვე პროცესში დამსაქმებლის და/ან მოწვეული ლექტორის პოზიციიდანაა ჩართული ავლენენ მაღალ მიჯაჭვულობას პროგრამის მიმართ. ისინი თავიანთ პროფესიულ წარმატებას პროგრამასა და ამ პროგრამაზე არსებულ მხარდაჭერის სისტემებს უკავშირებენ, შესაბამისად და მათი მოტივაცია პროგრამის ხელშეწყობის მიმართულებით საგრძნობლად მაღალია.

დამსაქმებლებიდან აღსანიშნავია თანამშრომლობა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორთან. საგულისხმოა კონრად ადენაურეის ფონდის მიერ პროგრამის მხარდაჭერა.

2020 წლიდან კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისმა საქართველოში მოქმედ პროგრამებს შორის შეარჩია ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა სასტიპენდიო პროგრამაში ჩართვის მიზნით. ერთობლივი შესარჩევი კომიტეტის ფარგლებში კონკურსის წესით გამოვლენილი იქნა თექვსმეტი სტიპენდიატი როგორც საქართველოდან, ასევე აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ქვეყნებიდან (აზერბაიჯანიდან, მოლდოვიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან). სტიპენდიანტებს სრულად დაუფინანსდათ როგორც სწავლის სემესტრული საფასური, ასევე, გადაეცათ საცხოვრებელი ხარჯები. უნდა აღნიშნოს რომ სტიპენდია დამოკიდებულია მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე. შერჩევისა და გარე შეფასების პროცესში ჩართული არიან ფონდის ქართველი და უცხოელი წარმომადგენლებიც.

ფაკულტეტზე ხარისხის კონტროლისა და პროგრამის მონიტორინგის/შეფასების მიზნით გამოიყენება რამდენიმე ინდიკატორი. კერძოდ:

- პროგრამის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვა და მისი შედეგები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მისი შედეგები;
- პროგრამის მონაწილე სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
- პროგრამის მონაწილე სტუდენტების სხვა პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი;
- უნივერსიტეტის სხვა პროგრამებიდან აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულა (GPA);
- გარე ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეფასება;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა და მისი შედეგები;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის მონაწილე სტუდენტების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;
- პროგრამის მონაწილე სტუდენტების პროგრამის არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელი.

აღნიშნული რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ნაწილი უკვე გამოიყენება თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების დროს, ხოლო როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, ნაწილის ამოქმედება იგეგმება უახლოეს მომავალში.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;

- ტემპუსის პროექტის ვებ-გვერდი <http://inotles.eu/>.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი (დანართი 19);
- ვილნიუსის უნივერსიტეტთან ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმება;
- ვიდზემეს უნივერსიტეტთან ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების პროექტი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 57 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			



4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიორგი მირიანაშვილი

გ. მირიანაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ლევან ცაგარელი

ლ. ცაგარელი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: იოსებ ბერიკაშვილი

ი. ბერიკაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამთა კობახიძე

თ. კობახიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მარიამ მაჭავარიანი

მ. მაჭავარიანი